საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №02

კოდიფიცირებული

ქ. ბათუმი **26 თებერვალი, 2018წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე–10 მუხლის, რექტორის მოადგილის ნათელა წიკლაშვილის მოხსენებითი ბარათისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის **ჩატარების დებულების თანდართული წესი (დანართი 1).**
2. გადაწყვეტილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის
26 თებერვლის N02 გადაწყვეტილების
დანართი 1 (კოდიფიცირებული,

ცვლილებები და დამატებები: ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 მარტის N07-01\02 გადაწყვეტილებით)

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში ,,უნივერსიტეტი“ ან ,,ბსუ“) სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის (შემდეგში ,,კონფერენცია“) ჩატარების მიზნით კონკურსის გამოცხადების, სტუდენტთა ნაშრომების წარდგენის, შეფასების, შერჩევისა და სტუდენტთა დაჯილდოების წესს.
2. სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ყოველწლიურად ჩატარების მიზნით საკონფერენციო ნაშრომების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბსუ-ს რექტორი.
3. სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების მიზანია:

   ა) სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია, დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა;
   ბ) სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავება;
   გ) ახალგაზრდა მკვლევარების წახალისება.
4. **კონფერენციის მონაწილეები შეიძლება იყვნენ ბსუ-ს** ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბსუ-ს რექტორი.
5. **სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი** შეიძლება იყოს ბსუ–ს აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის პირი, ემერიტუსი, ბსუ–ს დოქტორანტი, რომელსაც გავლილი აქვს სასწავლო კომპონენტი, ასევე მოწვეული პერსონალი (სპეციალისტი/მასწავლებელთა პერსონალის წარმომადგენელი). შესაძლებელია ერთი პირის მიერ ერთდროულად სამი სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა.

მუხლი 2. სამეცნიერო ნაშრომის შესრულება-გაფორმება

1. სტუდენტის სამეცნიერო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად ან/და სხვა სტუდენტთან ერთად შესრულებულ სამუშაოს, რომელშიც უნდა აისახოს სწავლის პერიოდში შეძენილი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა. სამეცნიერო ნაშრომში გამოყენებული უნდა იქნეს შესაბამისი დარგისთვის დამახასიათებელი მეთოდი, შეგროვდეს შესაბამისი მონაცემები და განიმარტოს ახალი და განყენებული მონაცემები და/ან სიტუაციების ანალიზი, სტანდარტული და

ზოგიერთი გამორჩეული/ახალი მეთოდის გამოყენებით ჩამოყალიბებული უნდა იქნეს დასაბუთებული დასკვნა. *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 მარტის N07-01\02 გადაწყვეტილებით)*

2. სამეცნიერო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მონაწილე სწავლობს უცხოენოვან პროგრამაზე. ასეთ შემთხვევაში სტუდენტები სამეცნიერო ნაშრომს წარმოადგენენ იმ ენაზე, რა ენაზეც მიმდინარეობს სწავლება. სამეცნიერო ნაშრომის ტექსტის ძირითადი ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს 10 გვერდს, ხოლო დამატებითი დანართები 5 გვერდს. *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 მარტის N07-01\02 გადაწყვეტილებით)*
3. სამეცნიერო ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე დებულებაზე თანდართული სტრუქტურის **(დებულების თანდართული ფორმა N1)** შესაბამისად. სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან: *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 მარტის N07-01\02 გადაწყვეტილებით)*

   ა) ნაშრომის შესახებ ინფორმაცია/თავფურცელი;

   ბ) აბსტრაქტი;

   გ) შესავალი;

   დ) ძირითადი ნაწილი;

   ე) დასკვნა;

   ვ) გამოყენებული ლიტერატურა/ბიბლიოგრაფია.

3.1. *(ამოღებულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 მარტის N07-01\02 გადაწყვეტილებით)*

3.2. *(ამოღებულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 მარტის N07-01\02 გადაწყვეტილებით)*

3.3. *(ამოღებულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 მარტის N07-01\02 გადაწყვეტილებით)*

4. *(ამოღებულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 მარტის N07-01\02 გადაწყვეტილებით)*
5. *(ამოღებულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 მარტის N07-01\02 გადაწყვეტილებით)*
6. *(ამოღებულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 მარტის N07-01\02 გადაწყვეტილებით)*

მუხლი 3. საკონფერენციო ნაშრომების შერჩევის წესი

1. საკონფერენციო ნაშრომების შერჩევის მიზნით ბსუ-ს რექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი.
2. კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონფერენციის ჩატარების თარიღი, ნაშრომების წარდგენისა და შეფასების ვადები, კონკურსის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით რექტორის მოადგილის (სამეცნიერო მიმართულებით), ბსუ-ს ფაკულტეტების დარგობრივი დეპარტამენტების, სამეცნიერო კვლევების სამსახურის, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურისა ან/და სხვა სტრუქტურული ერთეულების/პირების უფლება-მოვალეობები, ასევე კონკურსში გამარჯვებული საკონფერენციო ნაშრომების ავტორთა ჯილდოს სახეები და ფულადი ჯილდოს ოდენობა (ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ითანხმებს სტუდენტთათვის გასაცემი ფულადი ჯილდოს საერთო ოდენობას ბსუ-ს ბიუჯეტის გათვალისწინებით).
3. საკონფერენციო ნაშრომების შესარჩევი კონკურსის ჩატარების მიზნით კონკურსის გამოცხადების აქტით განისაზღვრება უნივერსიტეტის **სტრუქტურული ერთეულებისა და სტუდენტების მიერ განსახორციელებელი შემდეგი ღონისძიებების ვადები:**

3.1. ბსუ-ს თითოეული დარგობრივი დეპარტამენტების მიერ არაუმეტეს 10 პრიორიტეტული საკონფერენციო საკითხის (თემატიკის) განსაზღვრა (სამსახურებრივი ბარათი დეკანის ვიზირებით წარედგინება ბსუ-ს რექტორს);

3.2. დარგობრივი დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი საკონფერენციო საკითხები სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ სტუდენტურ პორტალზე განთავსება (რეგისტრაცია ელექტრონულად: Portal.bsu.edu.ge-ზე);

3.3. სტუდენტთა მიერ სამეცნიერო ნაშრომის სათაურისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის დარეგისტრირება სტუდენტურ პორტალზე;

3.4. სტუდენტთა მიერ სამეცნიერო ნაშრომის (შედგენილი წინამდებარე დებულების **N1 ფორმის** შესაბამისად); ნაშრომის ორიგინალობის (პლაგიატის არარსებობის შესახებ) სტუდენტის განცხადების (შედგენილი წინამდებარე დებულების **N2 ფორმის** შესაბამისად) და სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წერილობითი განცხადების/დასკვნის (შედგენილი წინამდებარე დებულების **N3 ფორმის** შესაბამისად) განთავსება/დარეგისტრირება სტუდენტურ პორტალზე; ***(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 მარტის N07-01\02 გადაწყვეტილებით)***

3.5. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ სტუდენტურ პორტალზე განთავსებული სტუდენტთა ნაშრომების ელექტრონული საქმისწარმოების შესაბამისად მიწოდება შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტებისათვის;

3.5[1]. ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტების მიერ მიღებული ნაშრომების შემოწმება ანტიპლაგის პროგრამაში. სამეცნიერო ნაშრომში ავტომატურად მოიხსნება კონკურსიდან (არ შეფასდება), თუკი: ***(დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 მარტის N07-01\02 გადაწყვეტილებით)***

ა) ავტორს არ აქვს დაცული „ბსუ-ში ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის N110 დადგენილების მოთხოვნები;

ბ) ნაშრომში (ძირითადი ტექსტი) სხვათა აზრის (ციტირება) მოცულობა აღემატება მთლიანი ნაშრომის მოცულობის 50%-ს.

3.6. სამეცნიერო ნაშრომების შეფასება შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტების მიერ (სამეცნიერო ნაშრომების შეფასების I ეტაპი - კონფერენციაზე წარდგენის შემთხვევაში საერთო შეფასების **3/5-ის ფარგლებში**); ***(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 მარტის N07-01\02 გადაწყვეტილებით)***

3.7. დარგობრივი დეპარტამენტების მიერ შეფასებული ნაშრომების (თითოეული დარგობრივი დეპარტამენტიდან არანაკლებ 5 და არაუმეტეს 10 ნაშრომის) შესახებ ინფორმაციის (მინიჭებული ქულების მითითებით) ბსუ-ს რექტორისათვის წარდგენა;

3.8. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის და სამეცნიერო კვლევების სამსახურის კოორდინირებული მუშაობით დარგობრივი დეპარტამენტებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება და დარგობრივი მიმართულებების მიხედვით არაუმეტეს **10 საუკეთესი ნაშრომის** გამოვლენა (შეირჩევა ის ნაშრომები, რომელთაც დარგობრივი დეპარტამენტის 3-წევრიანი კომისიის შეფასების მიხედვით მიღებული აქვთ არანაკლებ **16 ქულა.** საუკეთესო ნაშრომები

შეირჩევა მინიჭებული ქულების მიხედვით, ზემოდან ქვემოთ, **30-დან 16** ქულამდე; *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 მარტის N07-01\02 გადაწყვეტილებით)*

3.9. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ წინამდებარე დებულებისა და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით კონფერენციის პროგრამის შედგენა და განთავსება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და სტუდენტურ პორტალზე. პროგრამაში უნდა მიეთითოს თითოეული სექციის მუშაობის დრო და ადგილი **(სექცია იქმნება** სამეცნიერო დარგის/მიმართულების მიხედვით, თუ წარმოდგენილია მინიმუმ 5 სამეცნიერო ნაშრომი, წინააღმდეგ შემთხვევაში სამეცნიერო ნაშრომი დარეგისტრირდება მომიჯნავე სამეცნიერო დარგის სექციაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

3.10. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის და სამეცნიერო კვლევების სამსახურის კოორდინირებული მუშაობით კონფერენციის **საორგანიზაციო კომიტეტისა** და კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომების შემფასებელი კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის აქტის პროექტის მომზადება და წარდგენა;

3.11. კონფერენციის გამართვა, კონფერენციაზე საჯაროდ წარმოდგენილი ნაშრომების შესაბამისი კომისიის მიერ შეფასება და კომისიის ოქმის ბსუ-ს რექტორისათვის წარდგენა;

3.12. კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომების შემფასებელი კომისიის ოქმის საფუძველზე სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ კონფერენციის მონაწილე სტუდენტების დაჯილდოების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტის მომზადება და წარდგენა.

4. *(ამოღებულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 მარტის N07-01\02 გადაწყვეტილებით)*

მუხლი 4. კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი და საკონფერენციო ნაშრომების შემფასებელი კომისიები

1. სტუდენტთაკარიერულიგანვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის წარდგინებით და რექტორის მოადგილის ვიზირების საფუძველზე ბსუ-ს რექტორის ბრძანებით ბსუ-ს სტუდენტებისაგან იქმნება კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის წევრები (შემდეგში ,,კოორდინატორები“) უზრუნველყოფენ წინამდებარე დებულებისა და კონფერენციის გამართვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების მოთხოვნების დაცვასა და შესრულებას (თითოეულ სექციას ეყოლება კოორდინატორი, რომლებიც ეტაპობრივად სტუდენტთა კარიერულ განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურში წარმოადგენენ სამეცნიერო კონფერენციის მიმდინარეობის/სექცი(ებ)ის მუშაობის შესახებ ანგარიშს).
2. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის წარდგინებით და რექტორის მოადგილის ვიზირების საფუძველზე ბსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომების შემფასებელი კომისიები არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით (თითოეული დარგობრივი დეპარტამენტიდან 3 წევრი, ხოლო 2 - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურიდან წარმოდგენილი სპეციალისტები, დამსაქმებლები ან/და სხვა).

3. კომისიის წევრი ვალდებულია თავი აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევას (არ შეაფასოს სამეცნიერო ნაშრომი, თუ ის ამ ნაშრომის ხელმძღვანელია ან/და არსებობს პირდაპირი ნათესაური კავშირი (პირველი რიგის ნათესავია) სამეცნიერო ნაშრომის ავტორთან ან/და არსებობს ინტერესთა კონფლიქტის სხვა გარემოება).

მუხლი 5. კონფერენციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომების შეფასება
(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 მარტის N 07-01\02 გადაწყვეტილებით)

1. სტუდენტის სამეცნიერო ნაშრომის შეფასება ხდება ორ ეტაპად, 50-ქულიანი სისტემით, მათ შორის:

ა) I ეტაპზე მაქსიმალური 30 ქულით - სამეცნიერო ნაშრომი ფასდება მხოლოდ დარგობრივი დეპარტამენტების 3-წევრიანი კომისიის მიერ;

ბ) II ეტაპზე მაქსიმალური 20 ქულით - კონფერენციაზე **საჯაროდ წარდგენილი** სამეცნიერო ნაშრომი ფასდება არანაკლებ 5-წევრიანი კომისიის მიერ.";

2. შეფასების პირველ ეტაპზე მაქსიმალური 30 - ქულიანი შეფასების კომპონენტებია:

ა) **თემის აქტუალობა** (ნათლად არის გამოკვეთილი და დასაბუთებული საკვლევი თემის აქტუალობა) - 5 ქულა;

ბ) **კვლევა და ანალიზი** (ტექსტის ძირითადი ნაწილში საკვლევი თემაზე მსჯელობა არის თანმიმდევრული, გამოყენებულია პროფესიული პროგრამის შესაბამისი კვლევისა და ანალიზის მეთოდები) - 10 ქულა;

გ) **დისკუსია და დასკვნა** (ავტორის მოსაზრებები, რეკომენდაციები და დასკვნები ნათლად არის წარმოჩენილი) - 5 ქულა;

დ) **გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია** (წარმოდგენილი ლიტერატურული წყაროები არის სანდო და უშუალო კავშირში საკვლევ თემასთან) - 5 ქულა;

ე) **ენობრივ-სტილისტური გამართულობა** (ნაშრომი წარმოდგენილია ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შეცდომების გარეშე) - 5 ქულა.";

3. შეფასების მე-2 ეტაპზე მაქსიმალური 20 ქულიანი შეფასების კომპონენტებია:

ა) **აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი** (მომხსენებელი პრეზენტაციისას საუბრობს გამართულად და თავდაჯერებულად) - 5 ქულა;

ბ) **კითხვა/პასუხი** (კითხვებზე, შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე მომხსენებლის მიერ გაცემული პასუხი არის ლაკონური და გასაგები) - 5 ქულა;

გ) **რეგლამენტის დაცვა** (მომხსენებელი ძირითადი მოხსენების, კითხვა/პასუხისა და აუდიტორიასთან კომუნიკაციის დროს იცავს დროის ლიმიტს) - 5 ქულა;

დ) **პრეზენტაციის გაფორმება** (მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაცია არის მარტივად აღსაქმელი) - 5 ქულა.

4. კონფერენციაზე წარმოდგენილ ნაშრომებს კომისია საბოლოოდ შეაფასებს და დაჯამებული ქულების შესაბამისად მიანიჭებს შემდეგ სტატუსს:

ა) 41-50 ქულის შემთხვევაში - **შესანიშნავი ნაშრომი;**

ბ) 31-40 ქულის შემთხვევაში - **ძალიან კარგი ნაშრომი;**

გ) 21-30 ქულის შემთხვევაში - **კარგი ნაშრომი.**

5. შესრულებული სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია მხედველობაში იქნეს მიღებული შეფასების ზოგიერთი სპეციფიკური კრიტერიუმი.

მუხლი 6. კონფერენციის ბიუჯეტი და საკონფერენციო ნაშრომების ავტორების ჯილდოები

1. სამეცნიერო კონფერენციის ბიუჯეტი განისაზღვრება ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით (სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური წარადგენს სამსახურებრივ ბარათს).
2. საკონფერენციო ნაშრომებისათვის განსაზღვრული ფულადი ჯილდოს საერთო ბიუჯეტი (საპრიზო ფონდი) პროპორციულად უნდა განაწილდეს დარგობრივი მიმართულების სექციებზე.
3. თითოეულ სექციაში წარდგენილი სამეცნიერო ნაშრომებიდან მხოლოდ სამი მაღალი შეფასების მქონე ნაშრომზე საპრიზო ფონდიდან შეიძლება გაიცეს ფულადი ჯილდო - 150 ან 100 ან 50 ლარის ოდენობით, ნაშრომისათვის მინიჭებული ქულების გათვალისწინებით. *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 მარტის N 07-01\02 გადაწყვეტილებით)*
4. ერთ ნაშრომზე შესაძლოა გაიცეს მხოლოდ ერთი სახის (150 ან 100 ან 50 ლარის ოდენობით) ფულადი ჯილდო. იმ შემთხვევაში, თუკი ნაშრომს ჰყავს ორი ავტორი, საპრიზო თანხა უნდა გაიყოს თანაბრად. *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 მარტის N07-01\02 გადაწყვეტილებით)*
5. საკონფერენციო ნაშრომების შემფასებელი კომისიების დასკვნის საფუძველზე რექტორის ბრძანებით სტუდენტებისათვის განხორციელდება წახალისების შემდეგი ღონისძიებები (დაჯილდოება): *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 მარტის N07-01\02 გადაწყვეტილებით)*

5.1. სტუდენტი, რომელსაც აქვს შეფასება შესანიშნავი ნაშრომი (41-50 ქულა):

ა) ნაშრომი იბეჭდება უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომთა კრებულში/ჟურნალში.;

ბ) ეძლევა რეკომენდაცია მონაწილეობა მიიღოს ეროვნულ/საერთაშორისო კონფერენციაში/ფორუმში, მიმდინარე წელს ერთხელ, 750 ლარის ფარგლებში;

გ) ჯილდოვდება უნივერსიტეტის კონფერენციაში მონაწილის სიგელით;

დ) გაიცემა ფულადი ჯილდო 150 ან 100 ან 50 ლარის ოდენობით (საპრიზო ფონდის საერთო ოდენობისა და წინამდებარე მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით);

5.2. სტუდენტი, რომელსაც აქვს შეფასება ძალიან კარგი (31-40 ქულა):

ა) ჯილდოვდება უნივერსიტეტის კონფერენციაში მონაწილის სიგელით;

ბ) ეძლევა რეკომენდაცია მონაწილეობა მიიღოს რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციაში, ფორუმებში ერთხელ 500 ლარის ფარგლებში;

გ) გაიცემა ფულადი ჯილდო 100 ან 50 ლარის ოდენობით (საპრიზო ფონდის საერთო ოდენობისა და წინამდებარე მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით);

5.3. სტუდენტი, რომელსაც აქვს შეფასება კარგი (21-30 ქულა) - ჯილდოვდება უნივერსიტეტის კონფერენციაში მონაწილის სიგელით.

6. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილე სტუდენტების სამეცნიერო ნაშრომებისათვის უნივერსიტეტის მიერ გამოსაყენებელი წახალისების ღონისძიებების ზღვრული ოდენობებია: ***(დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 01 მარტის N 07-01\02 გადაწყვეტილებით)***

ა) სექცი(ა)(ებ)ში, მინიჭებული ქულების მიხედვით (ზემოდან ქვემოთ), უნდა გამოვლინდეს მაქსიმუმ 3 გამარჯვებული ნაშრომი, რომელიც დაიბეჭდება უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომთა კრებულში/ჟურნალში;

ბ) სექციაში, მინიჭებული ქულების მიხედვით (ზემოდან ქვემოთ), გამოვლინდება მაქსიმუმ 3 გამარჯვებული ნაშრომი, რომლის ავტორ(ებ)ს გადაეცემა ფულადი ჯილდო;

გ) სექციაში, მინიჭებული ქულების მიხედვით (ზემოდან ქვემოთ), გამოვლინდება მაქსიმუმ 3 გამარჯვებული ნაშრომი, რომლის ავტორ(ებ)ს მიეცემა რეკომენდაცია მონაწილეობა მიიღოს ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციაში, განსაზღვრული ფულადი ლიმიტების შესაბამისად.

(დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
2019 წლის 01 მარტის N07-01\02 გადაწყვეტილებით)

დანართი N1.

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულების"

ფორმა N1 - სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა

სამეცნიერო ნაშრომის სრული სათაური

პირველი ავტორი: სახელი გვარი,
ბსუ-ს, ფაკულტეტის,
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება საფეხურის მითითებით;
ელ. ფოსტა: ----------
მეორე ავტორი: სახელი გვარი,
ბსუ-ს, ფაკულტეტის,
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება საფეხურის მითითებით;
ელ. ფოსტა: ----------
სამეცნიერო ხელმძღვანელი: სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა;

ნაშრომის შესახებ ინფორმაციის დაფორმატებისას გამოიყენება შემდეგი პარამეტრები:

ა) შუა ნაწილში უნდა დაიწეროს სამეცნიერო ნაშრომის დასახელება (შრიფტის ზომა -16) (მას არ მიეწერება სიტყვა "თემა" და არც ბრჭყალებში უნდა ჩაისვას);
ბ) ნაშრომის დასახელების ქვემოთ, მარჯვენა ქვედა მხარეს დაიწეროს ნაშრომის ავტორ(ებ)ის სახელი, გვარი (შრიფტის ზომა - 12);
გ) ნაშრომის ავტორ(ებ)ის სახელისა და გვარის ქვემოთ, მარჯვენა მხარეს დაიწეროს უნივერსიტეტის, ფაკულტეტისა და პროგრამის დასახელება საფეხურის მითითებით (შრიფტის ზომა - 10);
დ) უნივერსიტეტის, ფაკულტეტისა და პროგრამის დასახელების ქვემოთ, მარჯვენა მხარეს დაიწეროს საკონტაქტო ინფორმაცია (შრიფტის ზომა - 10);
ე) საკონტაქტო ინფორმაციის ქვემოთ, მარჯვენა მხარეს დაიწეროს ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, დაკავებული აკადემიური თანამდებობა (სხვა უნივერსიტეტის აკადემიური პირის შემთხვევაში, იმ უნივერსიტეტის დასახელება) (შრიფტის ზომა - 10);
ვ) თავსართის გვერდიდან იწყება გვერდების ნუმერაცია. არაბული ციფრებით (1).

აბსტრაქტი

აბსტრაქტში ასახული უნდა იყოს სამეცნიერო ნაშრომის თემატიკა და საკვლევი საკითხი, კვლევის მეთოდი, მიზან(ებ)ი, ძირითადი მიგნებები, დასკვნები და სხვა. აბსტრაქტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 200 სიტყვას.

---.

საკვანძო სიტყვები: _____ , _____, _____, _____ (არაუმეტეს 4 სიტყვისა).

აბსტრაქტის დაფორმატებისას გამოიყენება შემდეგი პარამეტრები:

● შრიფტი - **Sylfaen** .

● შრიფტის ფორმა და ზომა: სათაური - 14, გამუქებული და სწორი; აბსტრაქტის ტექსტი - 12 და სწორი;

● ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხნიდან -3 სმ, მარჯვნიდან -1.5 სმ, ზემოდან - 2.5 სმ, ქვემოდან 2.5ს;

● ტექსტის კიდეები გასწორებულია ორივე მხარეს;

● სტრიქონებს შორის მანძილი -1,5 ინტერვალი;

● სათაურსა და ტექსტს შორის დაშორება - 2 სტრიქონი;

შესავალი

შესავალი წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომის ძირითადი საკითხების ზოგადი მიმოხილვას, სადაც კარგად უნდა იყოს გამოკვეთილი თემის აქტუალობა, დასახულ მიზნები, ამოცანები და სხვა ასპექტები კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ძირითადი ნაწილი

სამეცნიერო ნაშრომის ამ ნაწილში გაშლილი უნდა იყოს ძირითადი საკითხები და თემატიკა. <u>ძირითადი ნაწილი შესაძლოა დაიყოს თავებად და ქვეთავებად.</u> ძირითად ნაწილში შეიძლება წარმოდგენილი იყოს თვალსაჩინოებებიც (ცხრილები, გრაფები, სურათები და სხვა), თუმცა, სასურველია მცირე რაოდენობით. თვალსაჩინოება უნდა იყოს დასათაურებული და ასევე შესაძლებელია მას ახლდეს შენიშვნა, რომელიც უნდა განთავსდეს თვალსაჩინოების ქვემოთ. იმ შემთხვევაში თუ თვალსაჩინოება განსხვავებული ფორმატის ფაილია (JPEG ან სხვა), წარმოდგენილი უნდა იქნეს დანართის სახით წარმოდგენაც (დანართის გვერდების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 გვერდს).

დასკვნა

სამეცნიერო ნაშრომის დასკვნით ნაწილში უნდა მოხდეს მანამდე დასმული და წარმოჩენილი საკითხების შეჯამება, კვლევის პროცესში არსებული დაბრკოლებების და ახალი მოსაზრებების/რეკომენდაციების განსაზღვრა.

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი/ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ნაშრომს ბოლოს უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, სადაც წარმოდგენილი იქნება ნაშრომში გამოყენებული წყაროები.

წყაროების მითითებისას და ბიბლიოგრაფიის შედგენისას იხელმძღვანელეთ **„ბსუ-ში ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის N110 დადგენილების** შესაბამისად. აღნიშნული წესის დაუცველობა ჩაითვლება პლაგიატად, რაც ისჯება სტუდენტის სტატუსის შეჩერებით.

ნაშრომის ტექსტის დაკაბადონება უნდა შესრულდეს შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
ბ) შრიფტის სახე - Sylfaen;
გ) ტექსტის შრიფტის ზომა - 12;
გ) თავების/პარაგრაფები: პირველი დონის სათაური - 14, გამუქებული და სწორი; მეორე დონის სათაური - 12, გამუქებული და დახრილი; მესამე დონის სათაური - 12 და დახრილი
დ) სქოლიოს შრიფტის ზომა -10;
ე) სტრიქონებს შორის მანძილი -1,5 ინტერვალი;
ვ) სათაურსა და ტექსტს შორის დაშორება - 2 სტრიქონი;
ზ) ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხნიდან -3 სმ, მარჯვნიდან -1.5 სმ, ზემოდან - 2.5 სმ, ქვემოდან 2.5ს;
თ) ნაშრომის მოცულობა - დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგრამ არაუმეტეს 10 გვერდი და არანაკლებ 5 გვერდისა,
ე) სტატიის გვერდები ინომრება არაბული ციფრებით (1,2,3,4 და ა.შ.).

(დამტკიცებულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
2019 წლის 01 მარტის N07-01\02 გადაწყვეტილებით)

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულების"

ფორმა N2 - სტუდენტის განცხადება ნაშრომის ორიგინალობაზე

ბსუ-ს რექტორს, ბატონ მერაბ ხალვაშს
---------- ფაკულტეტის,
---------- საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო
საგანმანათლებლო პროგრამის
სტუდენტის ----------
(სახელი გვარი)
პირადომის მოწმობის №:----------

ტელ.ნომერი ----------

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო მერაბ,
მოგახსენებთ, რომ ჩემ (ჩვენ) მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი ---------- (სამეცნიერო ნაშრომის სათაური) გახლავთ ორიგინალური, ის არ შეიცავს პლაგიატის ნიშნებს და შესრულებულია ბსუ-ს სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულების (წარმომადგენლობითი საბჭოს 26.02.2018 წლის N2 გადაწყვეტილება) და ,,ბსუ-ში ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის №110 დადგენილებისა მოთხოვნების შესაბამისად.
გთხოვთ, აღნიშნული განცხადების საფუძველზე, ჩემ მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი დაუშვათ ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე.

პატივისცემით,

(ხელმოწერა)

თარიღი: - - / - - - - - - - - - - - - - / - - - - -
(დღე/თვე/წელი)

(დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
2019 წლის 01 მარტის N 07-01\02 გადაწყვეტილებით)

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულების"

ფორმა N3 - სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელის განცხადება/დასკვნა სტუდენტის ნაშრომის შესაბამისობაზე

ბსუ-ს რექტორს, ბატონ მერაბ ხალვაშს
---------- ფაკულტეტის,
----------მიმართულების

(აკადემიური თანამდებობა)
პირადომის მოწმობის №:----------

ტელ.ნომერი ----------

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
(დასკვნა)

ბატონო მერაბ,

მოგახსენებთ, რომ ---------- (სტუდენტ(ებ)ის სახელი გვარი) სამეცნიერო ნაშრომი ---------- (სამეცნიერო ნაშრომის სათაური), შესრულებულია ბსუ-ს სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულების (წარმომადგენლობითი საბჭოს 26.02.2018 წლის N2 გადაწყვეტილება) და ,,ბსუ-ში ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის №110 დადგენილებისა მოთხოვნების შესაბამისად.
როგორც სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, რეკომენდაციას ვუწევ სტუდენტის ნაშრომი დაშვებული იქნეს ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე.

პატივისცემით,

(ხელმოწერა)

თარიღი: - - / - - - - - - - - - - - - - / - - - - -
(დღე/თვე/წელი)